ბიზნესიდეების კონკურსი

ბიზნესიდეების კონკურსის ფარგლებში დაინტერესებული აპლიკანტების მხრიდან ბიზნეს იდეების/განაცხადების მიღება ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, სააგენტოს ვებ გვერდზე განთავსებულ ელექტრონული ლინკზე რეგისტრაციის გავლით. ბიზნეს-იდეის განაცხადი შედგება ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებისგან:

მთავარი იდეა - ბიზნესიდეის მოკლე აღწერა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბიზნესის საწყისი კაპიტალის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოების ან /და სერვისების სახეობის შესახებ, აღნიშნეთ თქვენი ბიზნესის უპირატესობა და

ინოვაციურობა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თანადაფინანსების თანხით შესაძენი აქტივები - ეთითება ბიზნესის

ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ის აქტივი, რომლის შეძენაც დაგეგმილია

თანადაფინანსების თანხით.

მოთხოვნილი თანადაფინანსების თანხა - ეთითება პროექტის განხორციელებისათვის საჭირო (საგრანტო) თანხა.

ვადა - მიუთითეთ თანადაფინანსების თანხის გახარჯვის სავარაუდო პერიოდი (კვირა).

თანამონაწილეობის თანხით შესაძენი აქტივები - ეთითება ბიზნესის

ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ის აქტივი/ შესასრულებელი სამუშაო რომლის შეძენა/შესრულება დაგეგმილია თანამონაწილების თანხით.

თანამონაწილეობის თანხა - ეთითება თქვენს მიერ შემოთავაზებული თანხა

(თანადაფინანსების 10%, ხოლო არსებული ბენეფიციარებისთვის 25%; მაღალმთიან რეგიონებში - თანადაფინანსების 5% , ხოლო არსებული ბენეფიციარებისთვის 15%;).

ვადა - მიუთითეთ თანამონაწილეობის თანხის გახარჯვის სავარაუდო პერიოდი (კვირა).

სამიზნე ბაზარი - ეთითება დეტალურად სად უნდა განხორციელდეს პროდუქციის რეალიზაცია/სავარაუდო გაყიდვები და ვინ იქნება პოტენციური მომხმარებელი;

სავარაუდო შემოსავლები - ეთითება ბიზნეს იდეის განხორციელების შემთხვევაში

თანადაფინანსების თანხის გახარჯვიდან პირველი შემოსავლის მიღების სავარაუდო პერიოდი და საქმიანობის შედეგად დაგეგმილი სავარაუდო შემოსავლის ოდენობა.

ლარებში (წლიური) სეზონურობის გათვალისწინებით. აღწერეთ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი თითოეული პროდუქტის ან მომსახურების შემოსავალი.

განმცხადებლის გამოცდილება და ფუნქცია მოვალეობები პროექტში - ეთითება რა

უნარები (კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება) გაგაჩნიათ და რა იქნება თქვენი ფუნქცია-მოვალეობა ბიზნესში.